საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კახაბერისძე კახაბერ

კახაბერისძე კახაბერ, XIII ს. II ნახევრის ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, რაჭის ერისთავი. დას. საქართველოს სხვა დიდებულებთან ერთად დიდად შეუწყო ხელი დავით VI ნარინის გამეფებას დას. საქართველოში. შემდგომში მოინდომა იმერეთში დავით ლაშას ძის გამეფება, მაგრამ უშედეგოდ. კავშირი დაამყარა მონღოლებთან, დავით ნარინს აუმხედრა აბაღაყაენის წინააღმდეგ აჯანყებული და დას. საქართველოში თავშეფარებული ღალღური. კ. ყაენის კარზეც წაჰყვა ღალღურს, სადაც დავით ნარინის საწინააღმდეგო საქმიანობას ეწეოდა. იქიდან კ. ქართლში, ატენში, დაბრუნდა. დავით ნარინმა შეიწყალა ორგული ერისთავი და რაჭაც დაუბრუნა. მცირე ხნის შემდეგ კ-მ კვლავ უღალატა მეფეს. მონღოლ სარდალ ალიყანთან გააბა მიმოწერა დავით ნარინის შეპყრობის თაობაზე. მეფემ ხელთ იგდო კ., თვალები ამოუშანთა და ცალი ხელი და ფეხი მოჰკვეთა. ერისთავის ორი - შვილი განდევნეს კონსტანტინოპოლში. ამით დასრულდა კების მფლობელობა რაჭაში.

წყარო: ჟამთააღმწერელი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის *გამოც.*, ტ. 2, თბ., 1959; ქართლის ცხოვრება, მთ. რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, *თხზ.* თორმეტ ტომად, ტ. 3, თბ., 1983.

ი. ანთელავა